საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-09/250

30 მარტი 2018 წ.

ქ.ბათუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში
2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის
სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა
გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, „ საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის რიგგარეშე მობილობის ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 2 მარტის №01-08/29 ბრძანების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 16 მარტის MES 31800299177 და 29 მარტის MES 81800355773 წერილთა საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანის წესით ჩაირიცხონ პირები:

N.	სახელი	გვარი	პირადი ნომერი	საფეხური	აღიარებული კრედიტი	ძირ. საგანმანათ. ერთეული (ფაკულტეტი)	პროგრამა	სწავლის საფასური (ლარი)	სემესტრი
1	მარიამ	გაფრინდაშვილი		ბაკალავრიატი	25	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	საერთაშორისო ურთიერთობები	2250	II
2	ლანა	ლობჟანიძე		ერთსაფეხურიანი	49	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	სტომატოლოგია	2250	IV
3	შოთა	მესხიძე		ერთსაფეხურიანი	54	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	მედიცინა	2250	IV
4	ქრისტინა	ფუტკარაძე		ბაკალავრიატი	137	ეკონომიკისა და ბიზნესის	მენეჯმენტი	2250	VI

2. გადმოყვანის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს 2017 –2018 სასწავლო წლისათვის სწავლის საფასური განესაზღვროთ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი ოდენობით, დარეგისტრირებული კრედიტების გათვალისწინებით.

3. გადმოყვანის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს განემარტოთ, რომ ვალდებულნი არიან ბრძანების გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინონ პირადი საქმეები, გააფორმონ ხელშეკრულება და გაიარონ აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

4. წინამდებარე ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში, 3 დღის ვადაში წარდგენილ იქნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში(ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**